



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1

13 ნოემბერი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №233

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის
გაფორმებული უზუფრუქტის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „პ.ბ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს V-ე თავის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაკმაყოფილდეს ოზურგეთის გამგეობის მოთხოვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის 2010 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედება ვადაზე ადრე შეწყდეს უზუფრუქტუარის მოთხოვნის საფუძველზე, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს მე-II თავის შესაბამისად. (ქ. ოზურგეთის კოსტავას ქუჩა №1 მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 83კგმ. საოფისე ფართი, საკადასტრო კოდი № 26.26.42.003.01.502)

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი